განკარგულება:**g-87.87221527**
თარიღი:**01/06/2022**

განკარგულება №15

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების „ვაზ-21214“-ის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში დამტკიცებისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“, „ე.დ“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, 35-ე მუხლისა და 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს **საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში** ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება „ვაზ-21214“, გამოშვების წელი - 2006, სახელმწიფო სერია და ნომერი SS 650 LS, საიდენტიფიკაციო №224631165, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი RV1240860, გადაცემათა კოლოფი - მექანიკური.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს **1000 (ერთი ათასი)** ლარით.

3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, აგრეთვე განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი